არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ს

სამოქმედო პროგრამის აღწერა, მისი მიზნები, ამოცანები და შედეგები

1. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება

ქ. რუსთავში ცხოვრობს ბევრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი (თუმცაღა არ არსებობს ზუსტი მონაცემთა ბაზა), განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ოჯახის წევრები მათი უნარ-შესაძლებლობების შესახებ მწირი ინფორმაციის გამო უმეტესად ვერ ართმევენ თავს მზარდ საჭიროებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. უმეტესობას სჭირდება დახმარება (მულტიდისციპლინური მიდგომა), ტოლერანტული გარემოს შექმნა. კონსულტაცია სპეციალისტებთან, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ადეკვატურად მიუდგებიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკურ მოთხოვნებს. მათი მრავალფეროვანი დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით, ისინი პერმანენტულად საჭიროებენ მუშაობას ლოგოპედთან, ფსიქოლოგთან, ნევროლოგთან, ფიზიო-თერაპევტთან, მასაჟისტთან და სპეც-პედაგოგებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემატურ კონტროლს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, უნარ-შესაძლებლობების განვითარებაზე და საზოგადოებასთან მათ ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე.

2. პროგრამის მიზნები

- ადრეულ ასაკში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უნარებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა და გარკვეული მიმართულების მიცემა.

- მულტიდისციპლინური გუნდების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც–პედაგოგი), და სამედიცინო კომისიის (ნევროლოგი, თერაპევტი, ფიზიოექიმი) მიერ ბენეფიციართა უნარების დადგენა და შესაბამისი მომსახურების შეთავაზება;

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

- ფუნქციური, აკადემიური, სოციალური და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების გამომუშავება/დასწავლა.

- სკოლამდელ და დაწყებით სასკოლო ასაკში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა;

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება (ელემენტარული თვითმოვლის, შრომითი ჩვევებისა და საზოგადოებაში ქცევის წესების შესწავლა–გამომუშავება).მათი შრომითი უნარების გამომუშავება და ჩართვა სხვადასხვა შრომით აქტივობებში;

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა და მზრუნველობა.

- მშობელთა ინფორმირება (ტრენინგი,კონსულტაცია და რეკომენდაციები განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მშობლების მომართვის საფუძველზე) და ცენტრის ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდა;

3. პროგრამის ამოცანები და მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია და სოციალური ადაპტაცია.

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ლოგოპედური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დიაგნოსტიკა და სისტემატიური კონტროლი;

• თერაპიული მუშაობა (მასაჟი, გამანჯანსაღებელი ვარჯიშები, ფიზიოპროცე–დურა);

• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების ფუნქციური და შრომითი უნარჩვევების განვითარებისთვის მათი სხვადასხვა თერაპიებით უზრუნველყოფა (ხატვის თერაპია, მუს.თერაპია, თიხის თერაპია,ხელგარჯილობა).

• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის (მათ შორის ბავშვებისთვის) მათი უნარების, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სხვადასხვა პროგრამების შეთავაზება;

3.1. პროგრამის შედეგები

• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან განხორციელებული სისტემატიური კორექციული და სამედიცინო მომსახურების შედეგად გაუმჯობესდა მათი საერთო ფსიქო–ფიზიკური მდგომარეობა;

• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან ცენტრში განხორციელებულმა აქტივობებმა ნაწილობრივ გადაჭრა მათი პრობლემები და ხელი შეუწყო საზოგადოებაში ადაპტაციას;

• პროგრამამ ხელი შეუწყო საჯარო სკოლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობის გაზრდას;

• ბენეფიციართა გარკვეული ნაწილი ჩაერთო ცენტრის შიდა სტრუქტურის მუშა პროცესში (მინისაცხობში და სამზარეულოში შრომით აქტივობებში ჩართულია 11 ბენეფიციარი) და ერთი ბენეფიციარი დასაქმდა სკოლამდელ ასაკში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ჯგუფში;

4 პროგრამით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციართა) რაოდენობა და კატეგორია, სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

4.1 პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება

• ბენეფიციართა მომსახურებას ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 16 საათამდე.

• ბენეფიციართა სამედიცინო კონტროლი და ზედამხედველობა.

• მომსახურების სრული პაკეტი მოიცავს ბენეფიციართა ყოველდღიურ ტრანსპორტირებასა და ორჯერად კვებას.

☐ ბენეფიციართა მომსახურეობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ცენტრში არსებული სხვადასხვა პროგრამებით:

1. ბავშვთა ადრეული დახმარებისა და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა, ქვეპროგრამები: ა) სკოლამდელ ასაკში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; (სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ბაღის 3 ჯგუფი,) ბ) სკოლამდელ ასაკში ინკლუზიური განათლებისთვის მომზადება;

გ) მშობელთა მხარდაჭერა (მშობელთა წახალისება, ტრენინგები, მშობელთა სკოლა). დაწყებით ასასკში.

2. ბოლო ასაკში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;

(საჯარო სკოლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სწავლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა).

3. დღის ცენტრის პროგრამა;

(6–დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებზე მომსახურება, რეაბილიტაცია/აბილიტაცია)

4. არტ–თერაპიის პროგრამა;

(ხატვის თერაპია; თიხის თერაპია; მუს–თერაპია; თექა,ქარგვა და ხელგარჯილობა).

5. შრომითი თერაპიის პროგრამა;

ა) არსებულ მინისაცხობში (საცხობი კაფეტერიის პერსპექტივით), სამზარეულოში და სამრეცხაოში ბენეფიციარების შრომითი უნარ–ჩვევების განმტკიცება;

ბ) ბენეფიციარების მომზადება შემდგომ პროგრამაში ჩასართავად;

6. ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა;

☐ შიდა და გასვლითი ღონისძიებების მოწყობა:

ა) ნახატებისა და ნამუშევრების გამოფენა/გაყიდვა;

ბ) დღესასწაულთან დაკავშირებული ზეიმები და კულტურული ღონისძიებები, სპექტაკლები; \

გ) საქველმოქმედო აქციები;

დ) ექსკურსიები;

ე) ინტეგრირებული ღონისძიებები; შეხვედრა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან;

ვ) გასვლა კინო–თეატრებში

4.2 მომხმარებელთა კატეგორია:

ა) მომხმარებელთა კადეგორიის ძირითად ნაწილს შეადგენს ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით დაავადებული და გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირები 2 წლიდან – 30 წლამდე.

ბ) ცენტრის სკოლამდელ ასაკში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ჯგუფის ბავშვები.